

კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტაციის პრობლემა

საველე კვლევა იგეგმება და ხორციელდება ან კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსური დოკუმენტაციის მიზნით, ან კიდევ კონკრეტული კვლევისათვის აუცილებელი ფაქტობრივი მასალის შესაკრებად.

კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტაციის მიზნით შეკრებილი მასალა, როგორც წესი, იშვიათად გამოიყენება კონკრეტულ პრობლემაზე მუშაობისას. ეს უმეტესად იმითაა განპირობებული, რომ არ არსებობს დიდი მოცულობის ინფორმაციულ მასივებში დიფერენცირებული ძიების განხორციელების შესაძლებლობა. განვიხილოთ ასეთი მაგალითი: დავუშვათ, ვიკვლევთ ორხმიანობას. თუ ორხმიანობა, როგორც საკლასიფიკაციო ნიშანი, საარქივო მასალის სისტემატიზაციის დროს გათვალისწინებული არ ყოფილა, მაშინ ვერ შევძლებთ ვიპოვოთ ამ სახის ჩანაწერები ეროვნული რეპერტუარის დოკუმენტაციის მიზნით შეკრებილ მასალებში და იძულებული ვიქნებით ისევ საველე კვლევას მივმართოთ. აღნიშნული მიზნით შეკრებილი საველე ჩანაწერები, ადვილი შესაძლებელია მომავალში თვითონ აღმოჩნდეს ჩართული ეროვნული რეპერტუარის დოკუმენტაციის მიზნით შეკრებილ საარქივო მასალებში, რაც, ბუნებრივია, გარკვეულ გავლენას მოახდენს ამ უკანასკნელზე. კერძოდ, ხელოვნურად გაზრდის საარქივო ფონდში ამგვარი ჩანაწერების რიცხვს და შექმნის ფოლკლორულ რეპერტუარში მათი დიდი რაოდენობით არსებობის ილუზორულ სურათს.

მოტანილ მაგალითში აღწერილი წინააღმდეგობის დაძლევა მოითხოვს საველე მუშაობის დაგეგმვის, მასალის ფიქსაციის, ფიქსირებული მასალის დამუშავებისა და მისი ხელმისაწვდომობის პრობლემების სწორად ორგანიზებას, რასაც ჩვენ ერთიანობაში დოკუმენტაციის პრობლემად განვიხილავთ.

იმისათვის, რომ სწორად განვსაზღვროთ მომავალი შემკრებლობითი საქმიანობის პრიორიტეტები და ამით მინიმუმამდე დავიყვანოთ ტრადიციული კულტურის რომელიმე ძეგლის ფიქსირების გარეშე დარჩენის ალბათობა, აუცილებელია გვეჩონდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ინტენსივობით მიმდინარეობდა ადრე საველე მუშაობა ცალკეულ რეგიონში. ამგვარი ანალიზის ჩატარება უშუალოდაა დაკავშირებული სისტემატიზაციის პრობლემასთან, რაც თავის მხრივ საარქივო მასალების ელექტრონული მონაცემთა ბაზების არსებობას გულისხმობს. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი დოკუმენტაციის პრობლემაში.

სისტემატიზაციის პრობლემის სრული მოცულობით გადაჭრა მხოლოდ საკვლევი ობიექტის შესახებ ცოდნის სრული ფორმალიზაციის შემთხვევაშია შესაძლებელი. იმის გამო, რომ ეთნომუსიკისმცოდნეობა დღეს მოკლებულია საკვლევი ობიექტის ფორმალიზების შესაძლებლობას, შესაბამისად არც მის მიერ შემუშავებულ სისტემატიზაციის მეთოდს გააჩნია სრულყოფილების პრეტენზია. სრულყოფილი სისტემატიზაციის შემუშავებამდე იძულებული ვართ დავკმაყოფილოთ ერთგვარი კომპრომისული ვარიანტით, რომელიც აუცილებელია აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

1. ითვალისწინებდეს ინტერდისციპლინარული კვლევის ძირითად ინტერესებს,

2. უზრუნველყოფდეს მასალის აღწერისა და დამუშავების პროცესის სიმარტივეს,

3. შესაძლებელს ხდიდეს მასალაში სხვადასხვა საკლასიფიკაციო ნიშნით კომბინირებულ ძიებასა და კვანტიტატური ანალიზის განხორციელებას,

4. უზრუნველყოფდეს მონაცემთა ბანკის ფართო ხელმისაწვდომობას.

მიუხედავად იმისა, რომ ამათგან ცალკეული მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული, დღემდე აქტუალურ მნიშვნელობას ინარჩუნებს ისეთი საკითხის გადანყვეტა, როგორცაა, ინტერდიციპლინარული კვლევის ინტერესების გათვალისწინება. ეს პრობლემა თანაბარი ძალით იჩენს თავს, როგორც მასალის სისტემატიზაციის, ისე ფიქსაციის ეტაპზე.

ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული ელექტრონულ მატარებლებზე ინფორმაციის სიმჭიდროვის მასშაბის გაზრდის, აგრეთვე ინფორმაციის გადაცემის სისწრაფისა და ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ეს ხელსაყრელ პირობებს ქმნის სისტემატიზებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემის გადასაჭრელად. აქ იგულისხმება შესაბამისი ხასიათის ელექტრონულ მონაცემთა ბაზების ინტერნეტში განთავსების შესაძლებლობა. სასიამოვნოა, რომ უკვე ამის არაერთი წარმატებული მაგალითი არსებობს. მათ შორისაა ქართული ფოლკლორის არქივის მონაცემთა ბაზა: <http://armazi.uni-frankfurt.de>. წინააღმდეგობები, რომლებიც ამ სფეროში იჩენს თავს, ძირითადად დაკავშირებულია ინფორმაციის ინტეგრირების ხელისშემშლელ ისეთ უზოგადეს პრობლემებთან, როგორცაა, ენობრივი ბარიერების არსებობა და მისგან გამომდინარე ავტომატური თარგმანის პრობლემა.

დასასრულ, არ შეიძლება არ მიეთითოს იმ უთანაბრობაზე, რომელიც განვითარების თვალსაზრისით კომპიუტერულ ტექნოლოგიებსა და მეცნიერების ტრადიციულ დარგებს შორის შეინიშნება. ამკარაა, რომ ეთნომუსიკისმცოდნეობა დღეს არსებული ტექნოლოგიური მიღწევების მხოლოდ მცირე ნაწილს იყენებს. პროგრესი ამ მიმართულებით ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად დროულად შესძლებს მეცნიერების ეს და სხვა მომიჯნავე დარგები დოკუმენტაციის სფეროში ჩამოყალიბებული ტრადიციული მიდგომების კრიტიკულ გადააზრებას და სისტემატიზაციის ახალი სქემების ჩამოყალიბებას.